



საბარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ბაზეთი №16(198) 2019 წ. 16-31 აგვისტო ფასი 1 ლარი

მართლმადიდებლობა

მარიამობა

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი მრავალი დღესასწაულია მიძღვნილი. მათ შორის ხალხში 15/28 აგვისტო, ღვთისმშობლის მიძინება, მარიამობა გამოირჩევა. ეს ის დღეა, როდესაც წმინდა მარიამი იერუსალიმში გარდაიცვალა და თავად იესო ქრისტემ მიიღო მისი სული. ცოტა ხანში უფალმა იგი ხორციელადაც გაიყვანა ამ ქვეყნიდან.

როგორ აღინიშნებოდა მარიამობის დღე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში?
მარიამობის დღესასწაულს წინ ორკვირიანი მარიამობის მარხვა უძღვის. მარხვა მიიძევა მარიამობა მიუღ საქართველოში დიდი უქმე იყო.

რატომ მარიამობა დიდი უქმე იყო. დილით ადრე ყველიან ან ქონიან განატეხს აცხობდნენ და სანთელს ცეცხლში აკმევდნენ. დიასახლისი, რომელსაც ხელში განატეხი და ღვინის ზედაზე ეჭირა, ილოცებდა და მარიამობის ძალასა და მადლს, მშვიდობას და მომავალი მარიამობისთვის კარგად ყოფნას შესთხოვდა. განატეხს ოჯახის ყველა წევრი შეჭამდა. სადილისთვის საკურთხის, მიცვალებულის მოსახსენებელ სუფრას გაამზადებდნენ. საამისოდ 7 ყველიან ან ქონიან სულის პურს გამოაცხობდნენ, მოხარშავდნენ შაშხს, ქათამს, სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო 1-2 კვერცი, ღაგაში და ერთი სანთელი. თუ ოჯახს ახალი მიცვალებული ჰყავდა, უნდა დაეკლათ ცხვარი, მეტი პურიც გამოეცხოთ და სუფრა მღვდელს უნდა ეკურთხებინა.

ღმრთობა როგორი ღარიბიც უნდა ყოფილიყო ოჯახი, რაიმეთი მაინც გაიხსნილებდა. დიასახლისი დილით ადრეანად ეზოს ხევეტავდა, 3 სულის პურს აცხობდა, კლადა ქათამს ან შაშხს ხარშავდა, ღაგაშებს აცხობდა, ჩამოქნიდა სანთლებს, რათა მიცვალებულებს სუფრა სუფრა წაედგა ანუ გაეშალა, რაც ამ დღისთვის აუცილებელი იყო. გაშლილ სუფრაზე დგამდნენ ღვინით სავსე ჭიქებს და დებდნენ ყველაფერ იმას, რაც ახალი შემოსული იყო. დიასახლისი ილოცებდა და "მარიამობის გამწენ ძალას" მიცვალებულების ცხონებას და მისი შთამომავლობის კარგად ყოფნას შესთხოვდა. ეს დღე განსაკუთრებით სოფელ ღვინის დღეობა იყო და აქ დიდძალი საქონელი იკვებებოდა. ერთხელ 20 ხარიც კი დაკლულა. ხარებს წვირდ საქონელსაც მიუმატებდნენ. სოფელში ამ დღესაც დიდი სტუმრიანობა სცოდნიათ. მოკეთებენ მაშინ ეპატეუბდნენ, თუ მათი სოფლის სალოცავს დღესასწაული არ ჰქონდა. იმდღეობდა დიდი სუფრები, რომლებიც სამი დღე არ ღაგებოდა. ხალხი ერთმანეთთან გადადიოდა სტუმრად, მხოლოდ ღამეს აუცილებლად მთავარი მასპინძლის ოჯახში ათევდნენ.

მარიამობისთვის შეთქმულ საკლავს სალოცავში მიიყვანდნენ, მიიტანდნენ ჩამოქნილ სანთელს, ფულს და მღვდელი საჯაროდ აცხადებდა, ვინ რა მიიყვანა თუ მიიტანა.

მარიამობას ანუ მარიამობას **სამეგრელოში** მარაშინას/მარაშინას ეძახდნენ. ეს დღე მიცვალებულთა მოსხენიების დღეც იყო და ახალი მიცვალებულის პატრონი ამ დღემდე ახალ ხილს ეზომიც კი არ მოწვევდა. წინა საღამოს თხემლის ტოტებით დაჯვარდა იცოდნენ, ანუ თხემლის ტოტები მიჰქონდათ ყანაში და სხვაგან. ამ დღეს სამეგრელოში ის წესები სრულდებოდა, რაც დანარჩენ საქართველოში ჭიაკოკონობის დროს. თუ მარიამობა მარხვის დღეს დაემთხვეოდა, სტუმრებს თევზით უმასპინძლებდნენ და მეორე სახსნილო დღეს ღვინის ხორციც ავრძელებდნენ. აღდგომიდან მოყოლებული ყოველ კვირას და უქმე დღეებში ხალხი მიხდვრად გადადიოდა მოსაღვინად, რასაც ჯარობა ეწოდებოდა. მარიამობის ჯარობა იმ წელს ბოლო ჯარობა იყო.

ბურიაში ამ დღეს თავგმარიობას, ყვავმარიობას, ჩიტმარიობასაც უწოდებდნენ.

ბანთში მარიამობას საყოველთაოდ ცნობილი აწყურის წმ. გიორგის დღესასწაული იმართებოდა. მლოცველი თეთრი გიორგის ეკლესიაში წინა დღეს, ზოგიც უფრო ადრე მიდიოდა. მლოცველები აქ მთელი კახეთიდან, თუშეთ-გუგუთს-ხევსურეთიდან, ქართლიდან, ერწო-თიანეთიდან იყრიდნენ თავს. აქ დღესაც ბევრი ხალხი მიდის.

მლოცველები თავდაპირველად ეკლესიას მარჯვნიდან მარცხნივ სამჯერ ან შვიდჯერ შემოუყვლიდნენ. წინ მიდიოდნენ ქალები. მათ მამაკაცთა გუნდი მიჰყვებოდა. ორივე გუნდი რიგ-რიგობით გალობდა „დიდებას“: „დიდება და ღმერთსა დიდება, წმიდა გიორგი ცხოველო, შენს სალოცავად მოველო“.

საღამოს, როდესაც ზარს დარეკავდნენ, ხალხი ეკლესიასთან იყრიდა თავს. აქ, ამ სალოცავში, როგორც სხვაგან, თავს იყრიდნენ მონა ქალები. მიანდათ, რომ ამ მონა ქალებს ხატი ირწყვდა და ისინი ხალხს ღმერთის, წმინდანების, სალოცავების ნებას გადასცემდნენ, თან ხალხის ჯანმრთელობას, კარგად ყოფნას შესთხოვდნენ. მონა ქალებს თეთრი თავსაფარი ჰქონდათ თავზე წაკრული, თეთრები ეცვათ, ფეხშიშველები იყვნენ, ზოგჯერ მათ თეთრი გიორგის ეკლესიის ჯაჭვი ჰქონდათ კისერზე. ისინი ეკლესიას დაჩოქილები უყვლიდნენ გარშემო, გალობდნენ და კედლებზე ანთებულ სანთლებს აკრავდნენ. ერთი მონა ქალი კვირისთავით ბაშბის ძაფს ართავდა და ეკლესიას გარშემო ახევედა. რომელიმე მონა ქალი კი ზოგჯერ შესახველელი კარის წინ დაეკემოდა და მღვდელს, მლოცველს, ვისაც ეკლესიაში შესვლა უნდოდა, მისთვის უნდა გადაეხეებინა.

ხალხს სალოცავში შესაწირი ცხერები მიჰყავდა. დაკელის წინ მიუყვანდნენ მღვდელს, რომელიც საკლავს სანთლით ბალანს შეუტუსავდა, იტყოდა: „წმიდაო გიორგი, შეიწირე საღმრთო მონისა შენისა“ და შემწირველის სახელს წარმოთქვამდა. ისინი, ვისაც შეთქმული, დათქმული ჰქონდა შანას ტარება და ვადა უკვე გახვლოდათ, მიდიოდნენ ეკლესიის დიაკონთან, რომელიც მათ შესაწირ საკლავს, საღმრთოს, ბალანს შეატრიადა და მონებს შანას შესხნიდა. შანა მავთულის იყო, ჯაჭვის მავთულობას სწევდა და მონას ყელზე ჰქონდა შემოსხვეული.

პირაძით ხმზსურათში მარიამობა მხოლოდ არხოტში აღინიშნებოდა, ხოლო პირაქეთში – სათემო ჯვრებში. ამ დღეს განსაკუთრებული წესები არ სრულდებოდა და მარი-

ჩვენს მუნიციპალიტეტში სანძრებმა ვენახები და სათიბ-საძოვრები გაანადგურა



წლებანდელი გვალვების შედეგად სასოფლო-სამეურნეო და სხვა სავარგულების გამხმარ-გაფიცვებული მცენარეული საფარი ხანძრების გაჩენის დიდ რისკს შეიცავს. მცირე ნაპერწკალიც საკმარისია საიმისოდ, რომ იქ განჩინდეს ხანძრებმა თავლის დახამხამებაში გაანადგუროს ხალხის ქონება თუ მოყვანილი ჭირნახული. ასე მოხდა 24 აგვისტოს, შუადღისას, როცა საგარეჯოში „კოსტაფეს“ მიდამოებში გაჩენილი ხანძარი ნინოწმინდის „გოგინალელეს“ მიდამოებისკენ გადაიზარდა და გაანადგურა 100 ჰა-ზე მეტი სათიბ-საძოვარი, მათ შორის ვაჟა შიოშვილის, ვასტანგ ახვედრაშვილის, სამხთუაშვილებისა და სხვათა 7 ჰა-ზე მეტი ვენახი.

– ხანძრის გაჩენის მომენტში, – გვიყვება **საგარეჯოს სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსის მოადგილე ბიორბი შიოშვილი**, – ჩვენი სამსახური ხანძრის ჩასაქრობად გასული იყო ხაშმის ტერიტორიაზე, სადაც **ცეცხლი ეკიდა 120 ჰა-ზე მეტ სავარგულს** და რომ არა ჩვენი ჩარევა, შეიძლება ხანძარი უფრო მეტ ტერიტორიაზე გავრცელებულიყო და ზარალიც უფრო მეტი იქნებოდა. ჩვენი ჩარევის შედეგად ხანძარი ლოკალიზებულ იქნა და საშუალება არ მიეცა ტყის მასივებისა და ე.წ. „ღაჩების“ ტერიტორიაზე გავრცელებულიყო.

ასეთი ფართო მასშტაბიანი ხანძრის გამო საგარეჯოელი მეხანძრეების დასახმარებლად მოვიდნენ თელავის, თბილისისა და დელოფისწყაროს მეხანძრე-მაშველები. სულ ხანძრის ჩაქრობაზე მუშაობდა ექვსი, მათ შორის საგარეჯოს 3 ეკიპაჟი, რომელთა თავდაუზოგავი შრომის შედეგად გადარჩა როგორც „კოსტაფეზე“, ისე „გოგინალელეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ასეულობით ჰექტარი მსხმთიარე თუ ახალშენი ვენახები.

აღნიშნული ხანძრების ჩაქრობაში საგარეჯოს სახანძრო-სამაშველო სამსახურის 15-მდე მაშველი იღებდა მონაწილეობას. ესენი არიან: გიორგი შიოშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი), თეიმურაზ ნარეკლიშვილი, იმედა ბაბაკიშვილი, ზაურ ხატიაშვილი, გიორგი კერატიშვილი და სხვები.

ბიძი ღაბასიშვილი



მუნიციპალური გვერდი

„ინფრასტრუქტურა-2019“

სოფელ ხაშში ცენტრალური გზიდან ე.წ. ტყისკენ მიმავალ ქუჩაზე, სადაც 35 ოჯახი ცხოვრობს, ასფალტი უნდა დაგეგმილიყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ ქუჩაზე გამავალი სასმელი წყლის ცენტრალურ ხაზამდე მიმავალი მილი 560-570 მეტრზე დაზიანებული იყო. აღნიშნული მილი სოფლის მთელ მოსახლეობას სასმელი წყლით ამარაგებს. ამიტომაც, ასფალტის საფარით ქუჩის დაფარვამდე ჯერ ეს მილები ამოიცივალა აღნიშნულ მანძილზე და მხოლოდ ამის შემდეგ გაგრძელდა ქუჩის კეთილმოწყობისათვის დაგეგმილი სამუშაოები.



სოფელი ხაშში-სასმელი წყლის საკომუნიაკაციო სისტემის ამოცვლა

სოფლის საჯარო სკოლის გზაზე 500 მეტრ მანძილზე დაიგო ქვაფენილი.



სოფელი ხაშში-საჯარო სკოლისკენ მიმავალი გზის ქვის ფენილით მოწყობა

სოფლის ცენტრალური გზიდან კაწარეთის სამების მამათა მონასტრამდე მისასვლელ გზაზე 600 მეტრ მანძილზე პრობლემატური გზა ასფალტის საფარით დაიფარა. სოფელში დამთავრდა „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით დაფინანსებული ღამის განათების მოწყობა.

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ალექსი გილაშვილმა სოფლებში: უჯარმაში, პატარძულში, ხაშში, წყაროსთავსა და ნინოწმინდაში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ადგილზე მოინახულა, ადგილობრივ მოსახლეობას გაესაუბრა და მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით მათი მოსაზრებები მოისმინა.



დასასრული მის გვერდზე

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირები

20 აგვისტო, 2019 წელი



საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის თათბირს ამავე **მუნიციპალიტეტის მერი ბიორბი ეროლონაშვილი** უძღვებოდა. თათბირს **მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები ლეოსო ბილაშვილი, შოთა პაპაბაძე**, მერიის სამსახურებისა და განყოფილებების უფროსები, თემებსა და სოფლებში მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ დასმულ კითხვებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის განყოფილების უფროსმა **ბაბა შვიძორიშვილმა** უპასუხა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის აღმოსავლეთის ზონის სოფლებში შექმნილი მდგომარეობის, იქ ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობის, იქ არსებული პრობლემების შესახებ დაწერილებით ისაუბრა **მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციისა და შესყიდვების სამსახურის მერის წარმომადგენლებთან საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროსმა მანუკი (ივანე) შანოზიშვილმა**.

თათბირზე ვრცელი საუბარი შეეხო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ზედაპირული წყალმომარაგების წყაროების დახასიათებას, რომელზედაც ინფორმაცია გააკეთა აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლების ხარისხის კვლევითი ცენტრის“ **დირექტორის მოადგილემა ხათუნა ჯანიაშვილმა**. სოფლებში სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გააკეთეს გომბორში მერის წარმომადგენლის თანაშემწემ **ბულო ბიუნაშვილმა**. მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ეროლონაშვილმა ბექა ფეიქროშვილსა და ივანე ფანოზიშვილს დაავალა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა სასმელი წყლის სათავე-ნაკვების შესწავლა.

27 აგვისტო, 2019 წელი



საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე **მუნიციპალიტეტის მერი ბიორბი ეროლონაშვილი** უძღვებოდა. მან თათბირის მონაწილეებს ის პრობლემები გააცნო, რომლებიც მყისიერ მოგვარებას მოითხოვს. კონკრეტული დავალეები მიეცათ შპს „საგარეჯოს“ დირექტორს თამაზ კუჭუაშვილსა და თემებსა და სოფლებში მერის წარმომადგენლებს. როგორც ბ-ნმა გიორგი ეროლონაშვილმა აღნიშნა, მართალია 3 მილიონი ლარის სამუშაოების ჩატარებას მოითხოვს თითოეული სოფელში სასმელი წყლის დღეს უკვე მოძველებული სისტემის შეცვლა, მაგრამ მომავალი 2020 წლის პრიორიტეტად სწორედ სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება დგას დღის წესრიგში. საამისოდ გამოყოფილი 3-4 მილიონი ლარი მიიმართება იმ პირველი სამუშაოების შესასრულებლად, რომელთა შესრულებაც შესაძლებელს გახდის მოსახლეობისათვის გრაფიკის მიხედვით მაინც იქნეს მიწოდებული სასმელი წყალი.

საუბარი შეეხო სოფელ გიორგიწმინდის ტერიტორიაზე არსებული ე.წ. „ნასადგომარის“ წყალს, რომელიც როგორც ქალბატონმა ხათუნა ჯანიაშვილმა აღნიშნა, ხარისხითაც და დებეტითაც მართლაც კარგია. აქვე გაიხსენა, აღნიშნული სასმელი წყლის მაგისტრალის (ფუნქციონირებდა ე.წ. კომუნისტების დროს) აღდგენას 4 მილიონი ლარი სჭირდება.

თათბირზე მოახლოებულ რთველსა და მისი ორგანიზებულად ჩატარების შესახებ ისაუბრა მუნიციპალიტეტის მერმა.

მუნიციპალური ბიუჯეტი

„ინფრასტრუქტურა-2019“

დასასრული

ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს საჯარო სკოლების სველი წერტილებისა და საპირფარეოების მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამუშაოები; „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, თითქმის ყველა სოფელში დასკვნით ფაზაშია ინფრასტრუქტურული სამუშაოები (უმრავლეს სოფლებში უკვე დასრულდა), დაიწყო სოფლის ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაციის ახალი ეტაპი, რომელიც მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება.

სოფელი უჯარმა-
მოსახვევებელი
სკვერის მოწყობა
(სოფლის
მხარდაჭერის
პროგრამა)



სოფელი უჯარმა-
სანიაღვრე არხის
მოწყობა



პატარეული



ქობი პრატიკაშვილი,
საგარეო მუნიციპალიტეტის მერიის პრესცენტრი

უმჯობესება, რომელიც მოსახლეობას ხელისუფლებასთან აახლოებს

„ამ უმჯობესებაზე ბევრ შეკითხვას გაიცა პასუხი“

საგარეო მუნიციპალიტეტის მთელ რიგ თემებსა და სოფლებში მცხოვრებლებთან კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ ირაკლი ქადაგიშვილი შეხვედრებს აგრძელებს. ამჯერად საგარეო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან, საქართველოს პარლამენტის წევრებთან, საგარეო მართლმადიდებლურ და სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროსთან არსებულ სააგენტოს – „აწარმოე საქართველოში“ დირექტორთან მიხეილ ხიდურელთან ერთად სოფელ ბაღიაურის მანავისა და იორმულანლოს თემების მოსახლეობას შეხვდა. სახელმწიფო რწმუნებულმა მოსახლეობასთან შეხვედრისას მკაფიოდ აღნიშნა, რომ მომავალი – 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიც და ადგილობრივი ბიუჯეტიც სოფლის, ქალაქის მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების მოსაგვარებლად უნდა დაიკავმოს.



მოსახლეობა დიდი ინტერესით შეხვდა სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ხელმძღვანელის მიხეილ ხიდურელის საუბარს, რომელმაც დასახულ პროგრამაში გათვალისწინებულ ახალ გრანტებზე ისაუბრა. მან საუბრისას განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის წასახალისებლად არსებული ყველა პირობა, ასევე ღრმად და საფუძვლიანად გააცნო ამ მხრე დაფინანსების პროგრამებიც.

საგარეო მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოჭინაშვილმა აღნიშნული სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრისას თითოეული მოსახლისგან მიისმინა სოფლებში არსებული პრობლემები და დაწვრილებით ჩაინიშნა – ეს პრობლემები კვლავ სასმელი წყლის დეფიციტს, სარწყავი სისტემების გაუმართაობას და სოფლის შიდა გზების მოწესრიგებას შეეხო, თუმცა აღინიშნა ისიც, რომ საგარეო მუნიციპალიტეტში ამ პრობლემების მოსაგვარებლად უკვე საქმად კარგი ნაბიჯები გადადგმული. ისინი მერს მათ სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პრობლემებზეც ესაუბრნენ და მადლობა გადაუხადეს აღნიშნული პროექტებისათვის და აქვე მერისგან სხვა პრობლემების მოგვარების პირობაც მიიღეს.

ბაღიაურში შეხვედრისას აქ თავი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მოიყარა. აქ იყვნენ ინტელიგენციის, ბიზნესის, ფერმერთა წარმომადგენლები, რომელთაც უფრო მეტად სწორედ ბატონ მიხეილ ხიდურელთან უნდოდათ შეხვედრა და მისგან კონსულტაციების მიღება მცირე ბიზნესის განვითარებისათვის. მათგან ერთ-ერთს გაეგებად.

მიჩაბ ჯამაზიშვილი – ეკონომისტი, 1979-1990 წლებში იყო ყანდაურის (რომელშიც სოფელი ბაღიაური შედიოდა) სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, დღეს კოოპერატივ „ლამაზი ბაღის“ ერთ-ერთი წევრია:

– ყოველთვის სასიხარულო და იმედის მომცემია შეხვედრა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან, მაგრამ ახლა, როცა ერთ დღეს ერთად შევხვდით ირაკლი ქადაგიშვილს, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ხელმძღვანელს ბ-ნ მიხეილ ხიდურელს და საგარეო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს, ვესაუბრეთ ჩვენი სოფლის პრობლემებზე და გვესაუბრნენ იმაზე, თუ როგორ შეიძლება ამ პრობლემების მოგვარება, როცა თითოეულმა მათგანმა ჩვენი – პირადი პრობლემებიც მიისმინა და მოგვარების გზები დაგვიხატა, ეს უკვე ხალხთან ყოფნის, ხალხის გვერდში ამოდგომის ნიშნავს. ბატონი მიხეილი და ჩვენი მხარის რწმუნებული კარგად ხედავენ ჩვენი სოფელში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს. მათ არაერთხელ ნახეს, რომ აქაური ხალხი შრომისმოყვარეა: მაგალითად, თუ მევენახეა, მას ღვინის და არყის შეთავაზება შეუძლია რესპუბლიკური მნიშვნელობის სააგენტოში იმდენი გზაზე გამწვანებული მგზავრისთვის, მის მეზობელს თონის პურის და უდის ყველის, მაწონის, ხიდის და ა.შ. ზოგიერთს უკვე საოჯახო სასტუმროს და ღვინის მარანი აქვს, რითაც იზიდავს ტურისტს. ამიტომაც შემოგვთავაზეს ბაღიაურელებს ამ პროგრამაში ჩართვა, რათა სახელმწიფო პროგრამით მიღებული გრანტით უფრო თანამედროვე გაეხადოთ ჩვენი ქართული თონეები, ღვინის მარნები, თუნდაც ყველის, რძის ნაწარმის, ხიდის და ბოსტნეულის გასაყიდი მაღაზიები. ზოგი მცირე მცდელობის ღვინის ქარხნის გაკეთებასაც შეძლებს.

მე პირადად ვესაუბრე ბ-ნ მიხეილს ჩვენი კოოპერატივის „ლამაზი ბაღის“ შესახებ, სადაც 11 ადამიანი ვართ დასაქმებული. ვუთხარი, რომ პოლანდიდან ჩვენი კოოპერატივის მიერ გამოწერილ ტიტების ბოლქვებს ზამთრამდე შესანახად პლუს 3 გრადუსი სტორდება, შემდეგ 15 და ა.შ. გაზაფხულზე ისეთი მოთხოვნა იყო ჩვენს მიერ გამოზრდილ ტიტებზე, რომ ახლა ალბათ 20 000 პირზე მეტის დარგვა მოგვიწევს. ბატონმა მიხეილმა მიისმინა, მომცა შესაბამისი კონსულტაცია და 1 სექტემბრიდან, როცა აღნიშნული პროგრამა ამოქმედდება, ჩვენი კოოპერატივი სააგენტოსთან წარადგენს ბიზნეს-გეგმას, ჩვენც მივიღებთ მონაწილეობას კონკურსში, გავიმარჯვებთ და გრანტს მოვიპოვებთ, რითაც გავაფართოვებთ და ავამოქმედებთ ჩვენი კოოპერატივის შესაძლებლობებს.

ბლოგებს. აქვე ითქვა ისიც, რომ სოფლის მეურნეობის გადასამუშავებლად პირს 30 000 ლარი მიეცემა გრანტის სახით. ამასთან, საუბარი იყო სამაცივრე მეურნეობის შექმნაზეც. როგორც ბატონი მიხეილი დაგვიხატა, სექტემბერში კიდევ შეხვდება ჩვენი სოფლის მოსახლეობას და უფრო დაწვრილებით შეისწავლიან აქაური მოსახლეობის შესაძლებლობებს და შესაბამისად დაეხმარებიან მცირე და საშუალო ბიზნესისკენ მიმავალ გზაზე ხელის შესაშველებლად.

სოფლის პრობლემებიც მოისმინეს, მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ერბოჭინაშვილი თითოეულ აქაურს გულდასმით უსმენდა სოფლის თუ პირად პრობლემებზე. მოსახლეობამ მას მადლობა გადაუხადა მრავალი წლის პრობლემის – სასმელი წყლის მიწოდების მოგვარებისათვის. როგორც იცით, ჩვენი სოფელი ე.წ. „სოკარის წყლიდანაც“ მარაგდება, რომელიც აზურბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებსაც ემსახურება. წლების განმავლობაში აქ პრობლემას წარმოადგენდა წყალსადენის აუზი, რომელიც ბინძურდებოდა (გადასახური იყო), გვერდით ბეტონიც ჩაესხა. ბაღიაურელებს ამ უსომოდ ცხელ ზაფხულში სასმელი წყალი გვაქვს, რასაც ამ რამდენიმე წლის წინ დიდი პრობლემები მოჰქონდა ჩვენთვის. 1 ტონა წყალი 10 ლარი გვიჯდებოდა... ამიტომაც მოსახლეობამ მადლობა უთხრა მუნიციპალიტეტის მერს.



პოპუია, ორსართულიანი სახლი, რომელიც დღევანდელი საგარეო მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს შენობის ადგილას, ჩამყდრობულ დასასვენებელ ბაღში იდგა, საგარეოს პიონერთა და მოსწავლეთა სახლი იყო. 1953 წლის 20 აგვისტოს გაიხსნა და მისი პირველი დირექტორი მანანა სოზარშვილია (შემდეგში პატარძელის საშუალო სკოლის დირექტორი), რომელიც თამარ ხუროშვილი (შემდეგში პატარძელის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი) შეცვალა. შემდეგ იყო ბიორბი (ბიორბი) არაბული – შემდეგში ბადაიურის, საგარეოს III საშუალო სკოლის დირექტორი, გაზეთ „იერის განთიადის“ სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, სოფელ კოჭბანის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; იოსებ სოზარშვილი (შემდეგში გაზეთ „იერის განთიადის“ პასუხისმგებელი მდივანი, საგარეოს II საშუალო სკოლის ხაზის მასწავლებელი); შიშინა მამულაშვილი (შემდეგში გაზეთ „სტალინური სიტყვის“ ლიტმუშაკი, საგარეოს I საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი). სწორედ მისი დირექტორობის (1959-1963წწ) წლებიდანაა შემორჩენილი ყველაზე მდიდარი ფოტოარქივი – მოსწავლეებთან ერთად ლაშქრობა კოლაზე, შეხვედრა პატარძელულ მგოსან გოგლა ლეონიძესთან, სტუმრობა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, მცხეთაში – მიხეილ მამულაშვილის ბაღში; თამარ აბნასაძე – (საგარეოს II საშუალო სკოლის სკოლისგარეშე და კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორი, ისტორიის მასწავლებელი); ცილა ნარინაშვილი (საგარეოს I საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი); ლეონიდა ჩაბიაშვილი (საგარეოს რაიონული განათლების განყოფილების სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების მეთოდისტი); ლეონიდა ბიორბიანი (საგარეოს რაიონული „იერის განთიადის“ კორექტორი, პარტიის საგარეოს რაიონის ინსტრუქტორი); მანანა (ბიორბი) ასლანაშვილი (საგარეოს I საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი).

1988 წლის 9 თებერვლიდან კი საგარეოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს, რომელიც ამჟამად ერეკლე II-ის ქუჩაზეა, საგარეოს I საბავშვო ბაღის გვერდით, თამარ ჯაბაძე ხელმძღვანელობს, რომელიც მანამდე საგარეოს III საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო. სწორედ თამარის დირექტორობიდან დაიწყო ახალი ცხოვრება აქ – ხალისიანი, საინტერესო, მიზიდველი... დღეს თამარის სტუმარი ვარ, ვსაუბრობთ ზაფხულის იმ ღამეზე დღეებზე, რომლებიც აქ ბავშვებმა გაატარეს, თუმცა, „ძველ თაობასაც“ არ ვივიწყებ...

– თამარ, შევასხენოთ ჩვენი გაზეთის მეთხველს საგარეოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში არსებული კვლები... – დიახ, ჩვენს სახლში გვაქვს ორი ინტელექტუალური – უმცროსი ჯგუფის (ხელმძღვანელი ნელი ქვლივიძე) და უფროსი ჯგუფის (ხელმძღვანელი ბადრი დრეიძე), ინგლისური ენის ორი ასაკობრივი ჯგუფი (ხელმძღვანელი თამუნა მათიაშვილი); თანამედროვე ტექნოლოგიების მოხალისეობრივი კლუბი (მაია მეკოკიშვილი); ლიდერთა კლუბი (ირინა დრეიძე, თამარ ჯაბაძე, ნატო ნადირაშვილი); ხატვის კლუბი (ხელმძღვანელი მხატვარი ნინო ჯანგულაშვილი); მხატვრული კითხვის კლუბი (ხელმძღვანელი ოლიკო მესაშიშვილი).



საგარეოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი 66 წლისაა

მუდრო სახლი, რომლის საინტერესო ცხოვრებით იზილავს ბავშვებს...



– ჩვენ საუბარში ამ სახლის კვლებში გაზრდილი ახალგაზრდები გავიხსენეთ, რომლებიც დღეს ცნობილი პიროვნებები არიან...

– გეტანხმებით, ისინი უკვე შემდგარი, პროფესიონალი ადამიანები არიან. შეიძლება მე დღეს ვინმე გამომჩინეს, მაგრამ ვეცდები ყველა გავიხსენო.

სახლში ლიდერთა კლუბი არ გვექონდა, მხოლოდ მოსწავლეთა თვითმმართველობის ჯგუფი იყო. მაშინ ანი მოსიაშვილი IX კლასის მოსწავლე იყო. არც ბანაკები გვექონდა. ეს 1999-2000 წლებში იყო. ანი გამთრთხილდა ლიდერის უნარ-ჩვევებით, შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულებით. 2006 წელს განათლების სამინისტრომ დაიწყო პროექტი „ყოველ დღესა შენ თავს ჰკითხე“. მაშინდელი მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად იყო ჩაბმული ამ პროექტში და ჩვენი მუნიციპალიტეტის შუამდგომლობით დაკავშირებით გავაკეთეთ პროექტი. ყველამ მიიღო მონაწილეობა. გვექონდა ფოტოსტენდიც. პრეზენტაცია კი ანის უნდა წარედგინა და ორჯერ – 2007-2008 წლებში ამ პროექტით ჩვენ გავიმარჯვეთ. საქველმოქმედო აქცია (2008 წელს) ლტოლვილების ტანსაცმლის შესაგროვებლად ანიმ და მისმა მეგობრებმა დაიწყეს. ისინი უბან-უბან დადიოდნენ და 16 ამათი გააძაბდეს. შესაწირი ყუთებით მოაგროვეს მათ ნინოწმინდის მშენებარე ტაძრის მუშებისთვის შესაძენი პროდუქტების ფულიც. ეს მცირედი შემოწირულობა იყო კარგი საქმისათვის. დღეს კი სადაცაა ანი მოსიაშვილი, თავისი ცოდნით, შესაძლებლობებით დიდ შრომას ეწევა ახალგაზრდობის ჩამოყალიბებაში. ანი იმ თაობაშიც წარმატებული და მისაბაძი იყო და ამ თაობისთვისაც მისაბაძი და საამაყოა. ანუკი ივლისში იყო ჩილეში, სადაც მონაწილეობდა პროექტში „მეწარმეობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის შესახებ“ სულ ახლახანს კი მუშაობდა დაიწყო ახალგაზრდა თანასწორგანმანათლებლო საერთაშორისო ქსელში – y-PEER.

ჩვენი სახლის აღზრდილები, ასევე დღეს წარმატებული ახალგაზრდები არიან – მარიამ ღვთისაფრისიშვილი – საგარეოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის სპეციალისტი, მიხეილ ფეიქრიშვილი – საქართველოს პარლამენტის პრესსამსახურის უფროსი, ანი ჯაბაძე, საერთაშორისო კოორდინატორი ნინო ქურხული – საგარეოს მუნიციპალიტეტის მერიის წარმატებული თანამშრომელი, ნინო სამყურაშვილი – ტელეარხ „რუსთავი-2“-ის წარმატებული ჟურნალისტი, პაატა ქვლივიძე – საგარეოს სახალხო თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი, მოვარისა ბელატიშვილი – საგარეოს IV საჯარო სკოლის პედაგოგი, გიორგი ქვლივიძე – მხახიობი, თამუნა ონაშვილი, სიმონ ბერიაშვილი, FLEX-ის პროგრამის გამარ-

ჯვებული ნატო აგულაშვილი, თინიკო ჭაჭუკაშვილი, გიორგი ესაიაშვილი, მაკა შიოშვილი, ნიკოლოზ გვარდიშვილი, მარიამ ღრეული... სულ ახლახანს, 23 ივლისს კი ნია დიდმელაშვილი გავაცივდეთ ამერიკაში, როგორც Flex-ის პროექტის ერთ-ერთი გამარჯვებული.

– თამარ წარმატებები ვუსურვოთ ყველას. საინტერესო, მხოლოდ საგარეოს მოსწავლეებისთვის არის ხელმისაწვდომი თქვენთან მუშაობა, თუ სოფლებიდანაც ვიერთდებით?

– ჩვენი სახლის კარი დიახ ყველასთვის. ჩვენთან საგარეოს ოთხივე საჯარო სკოლების, გიორგიწმინდის, ნინოწმინდის, წყაროსთავის, პატარძელის, ბადაიურის, მანაიის, დიდი ჩაილურის და ა.შ. საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან გაერთიანებული. ნუცა გაგნიაშვილი – წყაროსთაველია – ლიდერთა კლუბი.

– 20 აგვისტოს საგარეოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაარსებიდან 66 წლისთავი უსრულდება. ამ პერიოდში დაგროვდა დიდი გამოცდილება, წინა დირექტორები იმ პერიოდის (გვულისხმობ კომუნისტების დროს) მოსწავლე-ახალგაზრდობასთან რადიკალიზაციის წარმოშობაში ჩაბმულ მუშაობას ეწეოდნენ. დღეს თქვენ სრულიად განსხვავებული მეთოდი და



ინგლისური ენის ბანაკი თვალისწინებს ინგლისური ენის შესწავლას, მართალია, მოკლე ხანში ამის მიღწევა სირთულეებით არის დაკავშირებული თითქოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძალიან საინტერესოა – ბავშვები იმდენად უნარ-ჩვევებს, იუმჯობესებენ მეტყველებას, პირველივე დღიდანვე ეს გაუმჯობესება კიდევ ეტეობათ, ლექსიკურ მარაგს იკრებენ, გრამოტიკის, რომ აქვთ რაოდენობის მარაგი, სკოლაში მიღებულსაც ამტკებენ და ერთმანეთში საუბრობენ. პირველ დღეს მოხდა ცოდნის გამოვლენა-ტესტირება – რამდენად იცის მან ინგლისური და ამის შემდეგ იწყება მუშაობა. ამ დროს მათთან მუშაობის კლუბის ხელმძღვანელი, ჩვენ 2005 წლიდან ყოველწლიურად გვყავს ამერიკიდან „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისე, 4 ივლისს აღენიშნავთ ხოლმე ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს, თუმცა, სხვა ქვეყნების დამოუკიდებლობის დღესაც აღენიშნავთ. ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ დამეგობრებულ ქვეყნებთან ურთიერთობებს. ამასთან, ვაწყოთ დღესასწაულებს, აღენიშნავთ დაბადების დღეს, ამით ჩვენ ხელს ვუწყოთ ბავშვების ინტელექტუალური ცოდნის ამაღლებას. მართალია, თითქოს ვერთობით, მაგრამ, ამასთან, ვსწავლობთ ბევრს. მინდა ვთხრობა, რომ გვყავს ძალიან ნიჭიერი ბავშვები – აინტერესებთ ყველაფერი, სწავლობენ ბევრს.

საგარეოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ლიდერთა ლიდერი, ტექნოგონა მაია მეკოკიშვილი 14 ივლისიდან ესტონეთში იყო, სადაც გოგონათა გაძლიერების პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო ბანკი Wisei (ქალები მეცნიერებაში) იყო. მაია აქ 1000 აპლიკანტიდან 10 დელეგატს შორის ორკვირიან ბანაკში მოხვდა.

15 ივლისს კი „კინო-არტ-ბანაკი-2019“ გაიმართა, რომელსაც ლიდერები ანანო სუხაშვილი, ანი ხოკრაშვილი და ლიზი გოგიშვილი ხელმძღვანელობდნენ. ორივე გოგონა ძალიან დაინტერესებული არიან კინოხელოვნებით და სწორედ მათ „მივანდეთ“ ბავშვებთან ამ თემაზე მუშაობა. ეს ნდობა კარგია, ისინი ამით წარმოაჩენენ ლიდერულ უნარ-ჩვევებს და ამ უნარ-ჩვევებს სხვებსაც გადასცემენ. ანი, ჩვენდა საამაყოდ, ორი წელია იმარჯვებს კინოხელოვნების სექციაში, მონაწილეობს კონფერენციებში და მას მომავალში კინოკრიტიკოსად ვხვდავთ.

ბანაკის მუშაობის დღეებში მოწვეული იყო საგარეოს სახალხო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი მხახიობი პაატა ქვლივიძე, რომელიც ბავშვებს საინტერესო თემებზე ესაუბრა. ბანაკის დღის თემაზე საინტერესოდ წარდგნენ ნინი ჯავახიშვილი და მიხეილ ჭიაურელი, მათე მათიაშვილი, ალექო ჭიაურელი.

დაუვიწყარი, ამაღლებელი იყო ამავე დღეს ჩვენი ბავშვების შეხვედრა საგარეოს მხატვართან დავით ივანიშვილთან. მეთოხე დღეს ლიდერი გოგონას ნუცა მეზერიშვილის პრეზენტაცია „კინოხელოვნება“ მართლაც საინტერესო გამოდგა.

მხატვარი ბავშვებს მათთვის საინტერესო საკითხებზე ესაუბრა. შემდეგ დღეს კი ჩვენთან სტუმარი იყო ბავშვთა ევროვიზიაზე საქართველოს ხმა გიორგი როსტიაშვილი. ბანაკის დახურვის დღეს კი კვლავ მხატვარი დავით ივანიშვილი გვესტუმრა და ბავშვებთან ერთად მასტერ-კლასი ჩაატარა, 1,30 საათში ნახატი „ჩინხიტურის კოში“ შექმნა, რომელსაც ავტოგრაფი მხატვართან ერთად ყველა მონაწილემ დადამსწრემ გააკეთა.

27 ივლისს ლიდერთა კლუბის წევრებმა ლავოდეხში რეგონულ ახალგაზრდასსრული მმ-6 გმპრფზი



თემბატია გაქეთ მოსწავლე-ახალგაზრდობასთან, თავადაც სხვანაირი უნარ-ჩვევები აქვთ, სხვანაირი მიდგომები აქვთ დღევანდელ ყოფიერებასთან – უფრო ჩამოყალიბებული, მოტივირებული, მიზანდასახულები, ინოვაციურები არიან. თქვენს სახლში სტუმრობა კი ყოველთვის სახალისო, საინტერესოა. მოდი ვისაუბროთ თუნდაც აი, ივლისში – რით იყვნენ დაკავებული თქვენი სახლის პატარა ბინადრები?

მართლაც არ იქნება უინტერესო, ვისაუბროთ თუნდაც ივლისზე...

– 1 ივლისიდან აქ მუშაობა დაიწყო ინგლისური ენის დღის ბანაკმა (ხელმძღვანელი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინგლისური ენის კლუბის ხელმძღვანელი თამარ მათიაშვილი). ბავშვებმა აქ მინიატურული ფილმები ნახეს ინგლისურ ენაზე. დღის თემა კი იყო ეკო-ბანაკის გაგრძელება „ციცხოვროთ სუფთა გარემოში“ და „ნარჩენების მართვა“. ინგლისური ენის ბანაკმა დღეს უმასპინძლა ბავშვებს. 4 ივლისს კი ბანაკის მთლიანი თემბატია ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს, საქართველო-ამერიკის ურთიერთობებს მიეძღვნა. ინგლისური ენის ბანაკში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ლიზი ასთაიშვილიმ, მარიამ ოზგელდაშვილმა, ანანო ქურხულმა, შაკო ლებანიძემ. ამ კლუბის წევრებმა ერთად გაიმდიდრეს ინგლისური ენის ლექსიკური მარაგი, პრეზენტაციების დროს მართავდნენ დისკუსიებს.

სსმპ შურნალებიდან ჩვენს თანამემამულეზე

დავით ივანიშვილი: საზოგადოებრივი ერთეული არ არსებობს ჩვენი, არს ქართველი და არს უსხოელი მხატვრებიდან



საინტერესო, რთული, ხშირად დაუფასებელი ალბათ, საპირისპიროც – დაფასებული, ამაღლებული, უმნიშვნელოვანესი და გააღვივებელი კი და კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება ამ სფეროს შესახებ და მის მოღვაწეებზე. ეს არის მხატვრობა! მხატვრები და ის ადამიანები, ვინც ამ დიდებულ ხელოვნებაში იღვწიან მაღალი პროფესიონალიზმითა და ერთუბიანებით, უკვდავ შემოქმედებას ქმნიან და მსოფლიო ადფრთოვნებაში მოაქვთ

„ქართული ელიტა“ ინტერვიუს ძალიან საინტერესო და დრამა მოაზროვნე ადამიანთან, მსოფლიოში უკვე ცნობილ ქართველ მხატვართან, ღაბონი ივანიშვილთან აქვეყნებს.

– ბატონო დავით, რა არის მხატვრობა?

– თუ ტრაფარეტული არ გამოვა, ვიტყვი, რომ მხატვრობა ყველაფერია: ცეკვა, სიმღერა, პოეზია, თერაპია, ფილოსოფია. მხატვრობა ამქვეყნიურს ყველაფერს მოიცავს, სამყაროს ფარგლებს სცდება და გალაქტიკაში გადის თუ ამას შემოქმედი გრძობს ესე იგი ასეა!!! ნახატი არის ემოცია, რომელიც მთელს მიწიერ თუ არამიწიერ სამყაროში მოგზაურობს თავისი ენერგეტიკით.

– მხატვრის ცხოვრება რა არის და, ასევე, რა არის მისი ვალდებულებები?

– მე ვეთანხმები იმ აზრს, რომ მხატვრის ცხოვრება მსხვერპლს მოითხოვს. ნამდვილად მსხვერპლს გაღებაა საჭირო, რომ ტიტანური შრომა ჩადო და არ ფიქრობდეს იმაზე, – დაგიფასდება თუ არა?! ჭეშმარიტ ხელოვანს სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი თავდაუზოგავი შრომა მხოლოდ ინდივიდუალურ ერთუბიანობაზე და ერთობაზე. ბევრი ახსოვს ხელოვნების ისტორიას სიცოცხლეში დაუფასებელი მხატვრები მიუხედავად იმისა, ხელოვნებამცოდნეები უხვად იყვნენ ყველა დროში, მაინც რჩებოდა ვიღაც შეუმჩნეველი, მაინც სიდუხჭირეთში კვდებოდა და დიდი ხელოვანი, ხანამ მსოფლიოს აუღიბორიას არ მოიტაცავდა მისი შემოქმედება და ღვაწლი, არ ფასდებოდა. უამრავი ხელოვნებამცოდნე შეცდა, უამრავი ცოდვა დაიდევს კისერზე და არაერთ მხატვრის ცხოვრება დაანგრის. ბევრი სიცოცხლეს გამოესალმა იმდგობრუებით და სასოწარკვეთით, სწორედ ვაიკრიტიკოსების გამო. მაგრამ, მიუხედავად თანამედროვე მსოფლიოსი და უამრავი მსგავსი გამოცდილებისა, ეს შეცდომა კვლავ მეორდება ამიტომ, მხატვარი ვალდებულია ხატოს, მიუხედავად ყველაფრისა, აუცილებლად უნდა ხატოს!!!

– როგორ დაიწყო მხატვრობა თქვენს ცხოვრებაში?

– სიყვარულით!!! სიყვარულით დაიწყო მხატვრობა ჩემში, სიყვარულით მოდის დღესაც, მაგრამ რწმენით ვითარდება!!!

– ხელოვანს არ გაგიჭირდათ პოლიტიკაში?

– ჩემს პოლიტიკოსად მოღვაწეობაში და ამ სფეროში რეალიზებაში ხელოვნება ნამდვილად დამეხმარა. პოლიტიკურ ასპექტში მოქნილობა საჭირო, ადლო, ინტუიცია, ხედვა, რომელიც არ ისწავლება, ადამიანების სწორად დანახვა, სრული

ამ სიტყვის მნიშვნელობით. ეს ყველაფერი შემოქმედის თანდაყოლილი უნარჩვევებია, რომელიც არსად არ ისწავლება, ამიტომ, ვფიქრობ, მართლა ძალიან დამეხმარა შემოქმედება პოლიტიკაში, ხოლო პოლიტიკამ ნამდვილად დამბრძოლა შემოქმედებაში არაერთი მიზეზით

– და მაინც, ხომ არ ნანობთ პოლიტიკაში ოთხწლიან მოღვაწეობას?

– არ ვნანობ იმიტომ, რომ უამრავ ადამიანს დავეხმარე, ბევრს მივეცი მიმართულება, უამრავი ადამიანი გავიცანი, გამოვიცანი და ა.შ. მაგრამ დასაწყისად ის, რომ ჩემს შემოქმედებას ოთხი წელი გამოაკლდა, ჩემს ჯანმრთელობაზეც უარყოფილად აისახა, რადგან პასუხისმგებლობიდან გამომდინარე ყოველი დღე სტრესის ქვეშ მიწვედა მეუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეების მიღება ოფიციალურად კვირაში ერთი დღე იყო გათვალისწინებული, ჩემი სამუშაო ოთახის კარი ყოველ დღე დია იყო მათთვის. დიახ, როცა ხელისუფლებას წარმოადგენ ნება უნდა იბოძო, პირადული დაივიწყო და ის დრო ხალხთვის დაიხარჯო მაქსიმალურად!

– თქვენი ყველაზე დიდი მიღწევა მხატვრობაში?

– ჩემთვის ყველაზე დიდ მიღწევას ორდენები და ჩინებულებები არ წარმოადგენს, თუმცა არაერთი ჯილდო მაქვს მოპოვებული კულტურის დარგში, მაგრამ იმაზე დიდ ბედნიერებას და სიხარულს არაფერი მანიჭებს, რასაც ხალხის შეფასება და ემოციის მაქსიმალურად გამოხატვა ჰქვია, ეს იქნება ხელოვნებამცოდნე თუ უბრალო დამთვალიერებელი, თუმცა ოფიციალური ჯილდოები მნიშვნელოვანია, რასაც დამსახურება ჭირდება, მაგრამ იმად მაინც რა უნდა ღირდეს მხატვრისთვის, ნახატის წინაშე დამთვალიერებელი რომ ატრიალებდეს ემოციისგან?! ასეთი შემთხვევა არაერთი იყო ჩემს ცხოვრებაში, ეს არასოდეს დამავიწყდება, ეს იმ შრომის შედეგია, რისთვისაც იხარჯები მთელი ცხოვრება. ეს იმ ემოციის რეალიზებაა, რაც მხატვარმა ტილოზე გადართავს.

– რომელი ქვეყნის მხატვრობა გიზიდავთ მეტად?

– ძალიან მომწონს ევროპული მხატვრობა რენესანსის ხანიდან მოყოლებული დღემდე. ზოგადად, ჩემთვის, შემოქმედების ნიშნის შეფასება მისგან გამოწვეული ემოცია და ენერჯიაა. ენერჯეტიკა, რასაც ის ასხივებს. მე ყველა შემოქმედი მხატვრის ნაშუქვარში ვეძებ ამ ენერჯიას და სიამოვნებას ვიღებ.

– რამდენად საჭიროა სამხატვრო პლენერები და ფესტივალები და რას იძლევა ის?

– მე სამხატვრო პლენერების მომხრე ვარ, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო. ტელეპროექტიც კი მაქვს დაწერილი, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ფურცელზეა. თუ გვიინდა ქართული მხატვრობა განვითარდეს და ევროპული სკოლის ნაწილად გახდეს, ამისათვის აუცილებელია მოქმედება. ახალი პროექტები და პლენერები მოგიტანს ახალ ურთიერთობებს, რომელიც თანდათან პროგრესულად განვითარდება და საშუალებას მისცემს ჩვენს მხატვრებს და ზოგადად ხელოვანებს გაეიდნენ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, გაეცნონ სხვა ქვეყნების თანამედროვე კულტურას და აგრეთვე, გაეცნონ ქართული შემოქმედება, სხვა ქვეყნებს ვაჩვენოთ და ვაზიაროთ. ეს კი თავისთავად განვითარდება და იმ ჩაკეტილი სივრცის სინდრომი აღარ იარსებებს საქართველოში, რაც შემოქმედების და გაითითოკაცების შედეგია სამწუხაროდ.

– ბატონო დავით, თქვენი სამხატვრო სტილი და მის ჩამოყალიბებაში ვისი გავლენა იგრძნობა?

– რამოდენიმე სტილით ვხატავ და ვფიქრობ, ყველა თვითმოყოფადია, რადგან

არავისთვის არასოდეს არ მიმიბაძავს. ყოველთვის მაქსიმუმს ვაკეთებ ჩემი შესაძლებლობებისა, მაქსიმალურად ვიხარჯები და ვაკეთებ მხოლოდ იმას, რაც ჩემშია. მიყვარს ძიება და სიახლეები ეს დიდ სტიმულს მაძლევს და შემოქმედებითად მეტად ვიხარჯები მაქვს უამრავი ჯერ არ განხორციელებული იდეა, ალბათ ამ იდეებსაც თავის დრო აქვს. ჩემი იდეებისა და საქმიანობის გამო, ასე მგონია, ვალი მაქვს ქვეყნის წინაშე და ისე არ წავალ ამქვეყნიდან, სანამ ამ ყველაფერს არ განვახორციელებ.

– ქართველი და უცხოელი თანამედროვე მხატვრებიდან ვინ არის თქვენი საზომი მეტრი და რატომ?

– როგორც ასეთი, საზომი ერთეული არ არსებობს ჩემთვის არც ქართველი და არც უცხოელი მხატვრებიდან. საზომი ერთეული მხატვარმა და შემოქმედმა იმ შეგრძნებებში უნდა ეძიოს, რომელიც ჯერ კიდევ მიუწვდომელია მისთვის, ანუ სულ მხატვარი მუდმივად უნდა ვითარდებოდეს.

– და მაინც, ვინ არის დავით ივანიშვილი?

– დავით ივანიშვილი – არის მხატვარი, მხატვრად დაბადებული, რომლისთვისაც სხვა ყველა სფერო და ყველაფერი, მეორე ხარისხიანია. მე ამას ბავშობიდან ვგრძნობ და ეს ტრაფარეტი არ არის! ეს ჩემი შეგრძნებაა, რომელიც სულ თან მახლავს, ამას უნდა გრძობდე. ეს არ ისწავლება, ეს არის რწმენა!

– ბატონო დავით, თქვენს წოდებებზე და სხვა მიღწევებზე გაგამახვილოთ ყურადღება და რას ნიშნავს ყოველივე ეს?

– ჯილდოს არაფერს მოგცემს თუ არ იმსახურებ ეს არის ერთგვარი დაფასება რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა, როცა შენივე ქვეყნის ღირსების ორდენის მფლობელი ხარ! რა თქმა უნდა, სასიხარულოა სხვა ქვეყნის ჯილდოებიც გაქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი შენი საყვარელი საქმის პატიოსნად და მაღალ დონეზე კეთებით და წარმონებით მოიპოვე, ეს იგივეა, შენი ღვაწლი, გარკვეულწილად, დაფასებულია და, რა თქმა უნდა, ეს ერთგვარი სტიმულია, მეტის შესაქმნელად!

– რა არის თქვენთვის ოჯახი?

– ჩემთვის ოჯახი არის მიზანი, რომელსაც მხოლოდ ბედნიერება უნდა მივანიჭო, ბოლომდე დავიხარჯო მისთვის და უამრავი სიხარული მოვუტანო, თუნდაც ჩემი შემოქმედებით. მე კი მათი ბედნიერებით ვაიხარო. ეს არის წრე, რომელიც შემოსაღწერულია ბედნიერებით და მუდმივ დინამიკაში ერთმანეთთან.

– პოეზიაშიც ხელგეწივებით და

– კი, პოეზია მიყვარს და თავადაც ვწერ ლექსებს ალბათ, ლექსის წერას თავისი დრო აქვს, თითონ იცის როდის მოვა და დაგავრინებს თავს, მაგრამ, ვინაიდან, ჩემთვის მხატვრობაა უპირატესია, ასე ვხუმრობ ხოლმე: როცა ვერ ვხატავ, ლექსის წერით ვაკავებ მეუხებს. პოეზიაც ხომ მხატვრობასავით უნდასწავლია. ამ შეკითხვას დაურთავ ჩემს ერთ პატარა ლექსს, რომელიც გამოხატავს მხატვრობისადმი დაუოკებელ სწრაფვას და ალბათ, ამით ბევრი რამ იქნება ნათქვამი:

შეწეობას ვგრძნობ რადგან

მსოფლიოს „ბოძოლას“ ვუცხადებ!!!

მაშ რა ძალაა,

რომ დაიწყო ეს ორთაბრძოლა?!

მე შემოქმედის უსასრულო

წადილი მიბერობს,

და ჩემი რწმენა

მის გარეშე გარდაცვლილია!!!

მადლობა უფალს,

რადგან მარჩია მე თავის წიგნში,

რომ ვიღაც ერთმა,

კიდევ ერთმა ეს ტვირთი ზიდოს,

რომ მაზიარა და ჩამინერვა

მე სიყვარული,

არ მაპატიებს თუ ამ

ვალის შერჩენას ვითხოვ!!!



დიახ შემოქმედება შემოქმედისთვის მძიმე ხვედრია და ვალია ქვეყნის, ერის და ღვთის წინაშე!

– პროზა არ გიცდიათ?

– როგორც ასეთი, რაიმე მოთხრობა ან რომანი დამეწეროს – არა, მაგრამ მცდელობა ნამდვილად მქონდა ბავშობაში და ვიწვევ წერა და არ დამითავრებია, თუმცა ის მხატვრული ხედვა ნამდვილად გამომაღდა და წინადადებებით ვხატავდი სამყაროს. გულდასაწყვეტია, მაგრამ ალბათ მას არასოდეს მიუბრუნდები, სამაგიეროდ, ვწერ და აუცილებლად გაგავრძელებ ჩემი შემოქმედების საინტერესო დეტალებს, რომელიც ერთ დროს ვინმესთვის საინტერესო იქნება

– გამოფენა, რომელმაც თქვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა?

– არ მაიწვევდა გამოფენა „Art Caucasus 2005“ სადაც მართლაც პირველად დაერწმუნდი, რომ ჩემს შემოქმედებას შეეძლო ფართო მასშტაბის სიამოვნება მიენიჭებინა. ამ გამოფენაზე ორ სატელევიზიო სივრცეში „იმედს“ და „რუსთავი 2“-ზე უამრავ მხატვარს შორის ჩემი ნამუშევრების კოლაჟი გაუშვეს გამოფენის რეკლამად, რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის ერთგვარი სტიმულიც იყო და აღიარებაც. კიდევ უამრავი შემოთავაზება და დამთვალიერებლის რიგი ჩემს კედელთან არ შეწყვეტილა მართლაც წარუშლელია ჩემს ცხოვრებაში! ეკონომიურად ყველაზე პროდუქტიული კი ნიუ-იორკის „Art Expo New York 2019“ იყო.

– არ დაგავიწყდეს, გაუზიარე მკითხველს, რა არის თქვენთვის საქართველო – სამშობლო და როგორ უნდა იცხოვროს ამ ქვეყნის შეიღმა, ვინც ქართველმა და გინდ – არაქართველმა?

– საქართველოს ფასს მაშინ იგებს ადამიანი, როცა მთელს მსოფლიოს შემოიფლის და მის მსგავს სიკეთეს, მის მსგავს სიბოლოს, სიყვარულს ვერსად ვერ აღმოაჩენს! როგორც დედაა შეუცვლელი, ისე საქართველოა ჩვენი ქვეყნის შეიღისთვის. ვფიქრობ, ამ სიყვარულს თავად ეს ქვეყანა გაძლევს და ვერაფრით ჩაანაცვლებ რა გინდ უზრუნველი ცხოვრება მოიპოვო უცხოეთში. რაც ამ ქვეყანას გააჩნია, არსად არ მოიპოვება. საქართველოს მიწა-წყალი და ჰაერი გაჯერებულია სიყვარულითა და კეთილშობილებით. ყველა ამ ქვეყნის მოქალაქემ – ქართველმა თუ არაქართველმა მიიღოს ამ ქვეყნის დედობრივი სიბოლო და გაუფრთხილდნენ მას!

– და ბოლოს, რას იტყვით?

– ბოლოს მინდა მაღლობა გადავუხადო თქვენს გამომცემლობას – ჟურნალების კოლექტივს, რომელიც პატივსაცემ და მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს. აქვე ვიხარებებ შემთხვევით და მკითხველს მივმართავ: ჩემო ძვირფასებო, მადლობა უფალს, რომ ერთმანეთის თანამედროვეები ვართ და ერთ ეპოქაში მოგვიწია ცხოვრება. გვაქვს იმის შანსი, რომ ერთმანეთს ვიცნობდეთ და ერთმანეთი გვიყვარდეს.

ნუზხარ ჰიკაპირაშვილი
ჟურნალი „ქართული ელიტა“
18 ივლისი, 2019წ

მართლმადიდებლობა

მარიამობა

დასასრული

ამობა პატარა დღეობად მიიჩნევა. ასევე იყო ფშავეშიც.

თუშეთში მარიამობას ზოგან ლულსაც ადუღებდნენ და საზიარო საკლავსაც ყიდულობდნენ, მაგრამ ძირითადად სუფრა სახლში მზადდებოდა. ეს დღე მიცვალებულთა დღე იყო. ყველა ოჯახი მიცვალებულისთვის სუფრას ამზადებდა, სოფლის საჯარზე გამოიტანდა და ერთად მოიხსენიებდა გარდაცვლილთა სულებს. ისინი, ვისაც იმ წელს მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავდა გარდაცვლილი, სტომიან პურს აცხობდნენ და სანამ სუფრასთან დასხდებოდნენ, ბავშვებს ურიგებდნენ.

ბუჯაგაშაში მარიამობას ხალხი ადგილობრივ ხატებშიც მიდიოდა და იქ აღნიშნავდა დღესასწაულს, მაგრამ ამ დღეს საერთო საგუნდამაჟრო სალოცავის, პირიმზე ფუძის ანგელოზის დღეობა და ამიტომ ხალხი უმთავრესად იქით მიეშურებოდა.

ხალხის გადმოცემით, პირიმზე და ფუძის ანგელოზი დაძმანი არიან. პირიმზე სოფელ ნოსშია, ფუძის ანგელოზი კი ხევსურეთში. თუ პირიმზეს დღეობა შუა კვირაში ექნებოდა, ანუ მარიამობა შუა კვირას დაემთხვეოდა, მლოცველი გუდამაყრიდან ხევსურეთში მომდევნო კვირის პარასკევს მიდიოდა. ახობაზე, ანუ ფუძის ანგელოზობაზე, საკლავი შაბათს უნდა დაიკლას.

ხალხი პირიმზეს ცის ნაპირამდე მოარულს, უქმო ყმის მშველელს ეძახის. ვინც უნდა თხოვოს, ყველას მშველიაო. თურმე ძველად ხევსურეთში კერპები ხალხს არ უშვებდნენ სალოცავად. ფხიჭურზე ყოფილა პირიმზე. ღვთის შვილებიდან მხოლოდ ის შებრძოლებია კერპებს და ბრძოლის შემდეგ ამ ადგილს საგუბია დარქმევიაო. პირიმზეს იახსრისთვის უთხოვია, მე თუ ვერ შევქელი კერპების დამარცხება, შენ დამეხმარეო, მაგრამ თავადაც გაიკლავებია.

მლოცველები პირიმზეში დამისთევით მიდიან და მრავალი საკლავი (ცხვარი, კურატი) მიჰყავთ. დღემდე ხატში მიაქვთ ქადა-სანთელი. ხატში მისულ მლოცველს ქადა-სანთელი დეკანოზთან მიაქვს, რომელიც მიმტანს ლოცავს და სანთელს ანთებს. ქადას ძველად მთლიანად მას უტოვებდნენ, ახლა სახლში მოაქვთ. ქადას სამწკობროს ეძახიან. დეკანოზს ზოგჯერ ფულსაც აძლევდნენ. დეკანოზი საკლავზეც ილოცებოდა. ამ დროს ხატის დროშა იყო გამობრძანებული. ყველა საკლავის დაკლავაზე დროშას შეარხევდნენ და ზარი ირეკებოდა. ყველა იქ მყოფი პირით აღმოსავლეთისაკენ დგებოდა, დეკანოზი საკლავს ანთებული სანთლით ბალანს შეუტუსავდა,

დასტურები საკლავს ფეხებს დაუჭერდნენ, დეკანოზი ხანჯლით ყელს გამოჭრიდა, პატრონი კი ატყავებდა.

პირიმზეში გაყავდათ ბავშვები და ხატში მიბარების წესს ასრულებდნენ. ამჯერადაც ოჯახს დეკანოზთან უნდა მიეყვანა საკლავი. დეკანოზი დაილოცებოდა, საკლავს დაკლავდა და თუ ბავშვი ბიჭი იყო, საკლავის სისხლს შუბლზე ჯვარს გამოუსახავდა, ხოლო თუ გოგონა იყო, მარჯვენა ხელის გულზე.

ხატში ფერხისას ასრულებდნენ. ძველად იგი ორსართულიანი იყო. ფერხისას ამგვარ ტექსტზე მღეროდნენ:

“წვენი პირიმზის კარზედა ხე ალვა ამოსულაო.

იმას დაუსხამს ყურძენი,

საჭმელად შამოსულაო.

იმის უჭმელი ქალ-ვაჟი

უდროოდ ჩამოშლილაო”.

ამავე ტექსტს სხვა ხატებშიც მღეროდნენ. როდესაც ხატში საკლავის ხორცი გამზადდებოდა, იშლებოდა სუფრა და იწყებოდა ღვინო, ცეკვა-სიმღერა, სადღეგრძელოები, ერთმანეთის გადააპტივება.

ამ ხატობაზე ავადმყოფებსაც მკურნალობდნენ. როდესაც პირველად ხატს, ანუ ჩვეულებრივ ჯვარს გამოაბრძანებდნენ, ეკლესიის კარის წინ ავადმყოფები პირქვე იყვნენ გაწოლილები. უხუცესი დეკანოზი (ხატში შეიძლება რამდენიმე დეკანოზი ყოფილიყო) ავადმყოფებს სამჯერ დროშის ტარით ჯვარს გადასახავდა. თავზე წელზე და ორივე მხარზე ამ ტარს დააჭერდა, ავადმყოფი ცალი ფეხით წელზე შეადგებოდა, ახლა უკვე ფეხს აჭერდა და სამჯერ გადახტებოდა-გამოსტებოდა. ამას ხატით გადახვას უწოდებდნენ. ამის შემდეგ დეკანოზი ჯვარს ლუღში ამოაგვებდა და ამ ლუღს ავადმყოფს დაალევინებდა.

მთიულეთში მარიამობა საერთო სათემო დღეობა იყო. იკვლებოდა საერთო სათემო საკლავი, საერთო სათემო წესები სრულდებოდა და სუფრაც ერთი იშლებოდა.

ხევიში მარიამობა ცნობილი და ამ კუთხის მთავარი სალოცავის, გერგეთის სამების, დღესასწაულია. გერგეთში მარიამობაზე დღემდე მთელი ხევიდან მიდიან. მლოცველები მიდიოდნენ ჩრდილო ოსეთიდან, სტავროპოლიდან. ესენი იყვნენ: რუსები, ბერძენები და სხვები. წირვა-ლოცვის გარდა იწირებოდა საკლავი (ცხვარი, ხარი), რომლებსაც დეკანოზი კლავდა. იმართებოდა ღოღი.

ფერისცვალება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

19 აგვისტოს მართლმადიდებლური სამყარო ფერისცვალების დღესასწაულს აღნიშნავს. 12 საუფლო დღესასწაულთაგან ფერისცვალება ერთ-ერთი უმთავრესია იგი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ერთ-ერთ ცნობილ ეპიზოდს უკავშირდება, ფერისცვალების შესახებ მოგვითხრობენ მათე (XVII, 1-13), მარკოზი (VI, 2-13) და ლუკა (IX, 28-36) მახარებლები.



ფერისცვალება უფალმა თავის მოწაფეთაგან გამოარჩია პეტრე, იაკობი და იოანე და მათთან ერთად მთაზე ავიდა სალოცავად. სანამ მაცხოვარი ლოცულობდა, დადგომდა მოწაფეებს ჩაქიანათ. გადვიძებისას ნახეს, რომ იესო ქრისტემ ფერი იცვალა: “განბრწყინდა პირი მისი ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქნა სპეტაკ ვითარცა ნათელი”. ამ დროს მაცხოვრის გვერდით ზეციური დიდებით შემოსილი მოსე და ელია წინასწარმეტყველი იდგნენ, რომლებიც მაცხოვართან იმ ვნებისა და ტანჯვის შესახებ საუბრობდნენ, რაც მას იერუსალიმში მოელოდა. ამის მხახველი მოწაფეები გამოუთქმელმა ნეტარებამ მოიცვა და პეტრემ წამოიძახა: “მოძღვარ კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფა. და ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა, ერთი მოსესა და ერთი ელიასა” (ლუკა IX, 33). ამ სიტყვების თქმის შემდეგ ნათელი ღრუბელი დაადგა მათ, ხოლო ღრუბლიდან მოისმა ხმა ღვთისა: “ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავ. მაგისი ისმინეთ” (მათე XVII, 5). შეშინებული მოწაფეები პირქვე დაემხნენ, მათთან იესო მივიდა, ხელი შეახო და უთხრა: “ადევით და ნუ გეშინებ” (მათე XVII, 7). როცა მათ მიმოიხედეს, მოსე და ელია აღარსად იყვნენ.

სახარებაში არსად არაა მითითებული, კერძოდ, რომელ მთაზე ავიდა მაცხოვარი მოწაფეებთან ერთად. კირილე იერუსალიმელთან და იერონიმესთან გვხვდება ცნობა იმის თაობაზე, რომ ეს იყო თაბორის მთა. VI-VII საუკუნეებში მცხოვრები ზოგიერთი მოგზაური გვიდასტურებს, რომ მათი დროისათვის თაბორის მთაზე სამი ეკლესია იდგა თანახმად მოციქულ პეტრეს თხოვნისა, რომლითაც მან მაცხოვარს მიმართა.

თაბორის მთაზე ფერისცვალებით უფალმა მოწაფეებს ხილული სახით უჩვენა თავისი ღმრთაობის დიდება – ღვთაებრივი, შეუქმნელი, მარადიული, ნათელი, უფრო ბრწყინვალე და წმიდა, ვიდრე მზის სხივები, ნათელი, რომელიც მათ სულადას საოცარი სიხარულით, ზეციური სიმშვიდითა და ნეტარებით ავსებდა. მოწაფეთა წინაშე გაცხადდა მარადიული სიცოცხლის საიდუმლო, ანუ ის სიცოცხლის საიდუმლო, რომელიც მარადიულადაა გაცისკროვნებული ღმრთაებრივი ნათლით.

დიონისე არეოპაგელი ამის შესახებ წერდა, რომ ეს იყო წამიერი სამოთხე მოციქულებისათვის წუთისოფელში და მათ სურდათ, ამ მარადიული, ნეტარი სიხარულის განცდა არ დაეკარგათ. აღარ უნდოდათ, მიწიერ ცხოვრებას დაბრუნებოდნენ. ეს უნდა აღუწერელი სიხარულის განცდა და ასკეტი მამები, რომლებიც სულიერი ცხოვრებით ცხოვრობენ და უფლის მარადიულობას ჰკრებენ, სწორედ ამ დიდი სიხარულისთვის ემზადებიან.

ყოველი მართლმადიდებლის მიზანი ამქვეყნიურ ცხოვრებაში უნდა იყოს ის, რომ მოიხვედოს სულიწმიდის მადლი, რათა ცხონდეს. ამის მიღწევა სხვადასხვა საშუალებებით შეიძლება. ზოგი სულიერ ფერისცვალებას იესოს ლოცვით მოიპოვებს. ყველაზე უმოკლესი გზა, ყველაზე დიდი სიბოლო, რაც კი შეიძლება არსებობდეს, არის თაბორის ნათელი, რომელიც სულიერ მამებს ეძლევათ და შემდეგ ცდილობენ, მოსწყდნენ ამ ყველაფერს და მხოლოდ უფალს ჰკრებდნენ.

ყოველმა ქრისტიანმა უნდა მოიხვედოს ეს მადლი, ნათელი და ცდილობდეს, უფალთან იმ თანახიარ სიხარულში შევიდეს, რომლითაც დღევანდელ დღეს ავსილნი იყვნენ მოციქულები. ეს ყველაფერი კი მიღწევა კეთილი საქმის კეთებით, ეკლესიური ცხოვრებით, გულწრფელი ლოცვით, აღსარებითა და ზიარების მიღებით.

ფერისცვალების დღესასწაულზე, ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში სახეიმო ლიტურგია აღევლინება და ტრადიციისამებრ, ხილის კურთხევა მოხდება. ეს რიტუალი სათავეს უდევს დროიდან იდებს. ამით განიწმინდება ადამიანის ცოდვით შებღვნილი ხილი და დაიბრუნებს იმ სიწმიდეს, რომლითაც შემოსილი იყო ედემის ბაღში.

ფერისცვალება უფალმა თავის მოწაფეთაგან გამოარჩია პეტრე, იაკობი და იოანე და მათთან ერთად მთაზე ავიდა სალოცავად. სანამ მაცხოვარი ლოცულობდა, დადგომდა მოწაფეებს ჩაქიანათ. გადვიძებისას ნახეს, რომ იესო ქრისტემ ფერი იცვალა: “განბრწყინდა პირი მისი ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქნა სპეტაკ ვითარცა ნათელი”. ამ დროს მაცხოვრის გვერდით ზეციური დიდებით შემოსილი მოსე და ელია წინასწარმეტყველი იდგნენ, რომლებიც მაცხოვართან იმ ვნებისა და ტანჯვის შესახებ საუბრობდნენ, რაც მას იერუსალიმში მოელოდა. ამის მხახველი მოწაფეები გამოუთქმელმა ნეტარებამ მოიცვა და პეტრემ წამოიძახა: “მოძღვარ კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფა. და ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა, ერთი მოსესა და ერთი ელიასა” (ლუკა IX, 33). ამ სიტყვების თქმის შემდეგ ნათელი ღრუბელი დაადგა მათ, ხოლო ღრუბლიდან მოისმა ხმა ღვთისა: “ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავ. მაგისი ისმინეთ” (მათე XVII, 5). შეშინებული მოწაფეები პირქვე დაემხნენ, მათთან იესო მივიდა, ხელი შეახო და უთხრა: “ადევით და ნუ გეშინებ” (მათე XVII, 7). როცა მათ მიმოიხედეს, მოსე და ელია აღარსად იყვნენ.

სახარებაში არსად არაა მითითებული, კერძოდ, რომელ მთაზე ავიდა მაცხოვარი მოწაფეებთან ერთად. კირილე იერუსალიმელთან და იერონიმესთან გვხვდება ცნობა იმის თაობაზე, რომ ეს იყო თაბორის მთა. VI-VII საუკუნეებში მცხოვრები ზოგიერთი მოგზაური გვიდასტურებს, რომ მათი დროისათვის თაბორის მთაზე სამი ეკლესია იდგა თანახმად მოციქულ პეტრეს თხოვნისა, რომლითაც მან მაცხოვარს მიმართა.

თაბორის მთაზე ფერისცვალებით უფალმა მოწაფეებს ხილული სახით უჩვენა თავისი ღმრთაობის დიდება – ღვთაებრივი, შეუქმნელი, მარადიული, ნათელი, უფრო ბრწყინვალე და წმიდა, ვიდრე მზის სხივები, ნათელი, რომელიც მათ სულადას საოცარი სიხარულით, ზეციური სიმშვიდითა და ნეტარებით ავსებდა. მოწაფეთა წინაშე გაცხადდა მარადიული სიცოცხლის საიდუმლო, ანუ ის სიცოცხლის საიდუმლო, რომელიც მარადიულადაა გაცისკროვნებული ღმრთაებრივი ნათლით.

დიონისე არეოპაგელი ამის შესახებ წერდა, რომ ეს იყო წამიერი სამოთხე მოციქულებისათვის წუთისოფელში და მათ სურდათ, ამ მარადიული, ნეტარი სიხარულის განცდა არ დაეკარგათ. აღარ უნდოდათ, მიწიერ ცხოვრებას დაბრუნებოდნენ. ეს უნდა აღუწერელი სიხარულის განცდა და ასკეტი მამები, რომლებიც სულიერი ცხოვრებით ცხოვრობენ და უფლის მარადიულობას ჰკრებენ, სწორედ ამ დიდი სიხარულისთვის ემზადებიან.

ყოველი მართლმადიდებლის მიზანი ამქვეყნიურ ცხოვრებაში უნდა იყოს ის, რომ მოიხვედოს სულიწმიდის მადლი, რათა ცხონდეს. ამის მიღწევა სხვადასხვა საშუალებებით შეიძლება. ზოგი სულიერ ფერისცვალებას იესოს ლოცვით მოიპოვებს. ყველაზე უმოკლესი გზა, ყველაზე დიდი სიბოლო, რაც კი შეიძლება არსებობდეს, არის თაბორის ნათელი, რომელიც სულიერ მამებს ეძლევათ და შემდეგ ცდილობენ, მოსწყდნენ ამ ყველაფერს და მხოლოდ უფალს ჰკრებდნენ.

ყოველმა ქრისტიანმა უნდა მოიხვედოს ეს მადლი, ნათელი და ცდილობდეს, უფალთან იმ თანახიარ სიხარულში შევიდეს, რომლითაც დღევანდელ დღეს ავსილნი იყვნენ მოციქულები. ეს ყველაფერი კი მიღწევა კეთილი საქმის კეთებით, ეკლესიური ცხოვრებით, გულწრფელი ლოცვით, აღსარებითა და ზიარების მიღებით.

ფერისცვალების დღესასწაულზე, ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში სახეიმო ლიტურგია აღევლინება და ტრადიციისამებრ, ხილის კურთხევა მოხდება. ეს რიტუალი სათავეს უდევს დროიდან იდებს. ამით განიწმინდება ადამიანის ცოდვით შებღვნილი ხილი და დაიბრუნებს იმ სიწმიდეს, რომლითაც შემოსილი იყო ედემის ბაღში.

საბარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის

სახლი 66 წლისაა

მეუდრო სახლი, რომლის საინტერესო ცხოვრებით იზიდავს ბავშვებს...

დასასრული



დულ ფესტივალში მიიღეს მონაწილეობა, რომელიც ახალგაზრდების დამეგობრების, აზრთა გაცვლის, ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით ჩატარდა. მათ ყველა აქტივობებში მიიღეს მონაწილეობა და ფასიანი საჩუქრებიც დაიმსახურეს. რაც მთავარია, მუნიციპალიტეტებს შორის გაფორმდა ურთიერთ-თანამშრომლობის მეორადეში ახალგაზრდული ფესტივალის დამკვიდრების შესახებ. ლაგოდეხში სასიამოვნო გარემოსთან ერთად ჩვენს ბავშვებს სხვადასხვა გასართობი თუ შემეცნებითი აქტივობები დახვდათ – სპორტში, ხელოვნებაში, ისტორიაში, ლიტერატურაში, პოეზიაში, მუსიკაში, კულინარიაში. ჩვენმა ახალგაზრდებმა ფასიანი საჩუქრები მიიღეს. მჯერა ახალგაზრდული ფესტივალი ჩვენი რეგიონის ახალგაზრდებს ერთმანეთთან დაამეგობრებს.

– წარმატებებს ვისურვებთ!
– მადლობა.



სპორტი

კიკბოქსინგი

საერთაშორისო ტურნირი საბარეჯოში



კიკბოქსინგში საქართველოს და აზერბაიჯანის მრავალგზის, მსოფლიო ჩემპიონმა, იორმუდანლოს კიკბოქსინგის კლუბ „იაგუარის“ მწვრთნელმა, ჩვენი აზერბაიჯანული ეროვნების მრავალი სხვადასხვა დონის ჩემპიონისა და პრიზიორის აღმზრდელმა **იბრაჰიმ მამედოვმა** 17 აგვისტოს საგარეჯოში მორიგი საერთაშორისო სპორტული ასპარეზობა ჩაატარა. მისი ორგანიზებით არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტულ დარბაზში ჩატარდა Kikboqsing &mma საერთაშორისო ტურნირი „საგარეჯო Wjmmf WJF-4“.

ტურნირში მონაწილეობდნენ ირანის, თურქეთის აზერბაიჯანის, ყირგიზეთის, რუსეთის და საქართველოს, მათ შორის თავად ასპარეზობის ორგანიზატორის აღზრდილი უძლიერესი სპორტსმენი ვაჟები და რამდენიმე ქალთა წევრი.

რინგზე პირველად პატარა მოხსუბრები დადგნენ, რომელთაც თანდათან უფროსი



ასაკის სპორტსმენები ჩაენაცვლნენ. მათი ასაკისა და წონითი კატეგორიების მატებასთან ერთად მატულობდა დაბაბულობა სპორტსმენთა და მათგან უფროსი. ქართველი და გარეჯელი გულშემატკივრები კი, რა თქმა უნდა, საქართველოს სპორტსმენებს გულშემატკივრობდნენ, რომლებმაც არაერთი წარმატებით გაახარეს ისინი. დაბაბულობა ორთაბრძოლაში გამარჯვებას მიადწია და ჩემპიონის ქამარი შესაბამის პრიზთან ერთად მოიპოვა იბრაჰიმ მამედოვის აღსაზრდელმა, იორმუდანლოს საჯარო სკოლის მოსწავლემ კიკბოქსინგში საქართველოსა და მრავალი საერთაშორისო ტურნირების ჩემპიონმა და პრიზიორმა მსოფლიო ჩემპიონმა **ელზინ მამედოვმა**. ასეთივე შედეგით დატოვეს რინგი მისმა თანაგუნდელებმა ფეიძან გაჯიევა და სხვებმა.

WJMMAF WJF-5 FIGHT CARD 170 HEIGHT 56 WEIGHT KAZIMOV ELVIN WJMMAF WJF-5 COOMING SOON

ტურნირზე წარმატებულად იასპარეზა ჩვენმა კაკაბეთელმა თანამემამულემ, თბილისის კიკბოქსინგის კლუბ „ხარები“-ს აღსაზრდელმა 15 წლის ლაშა მუპატაძემ, რომელსაც 67 კგ წონით კატეგორიაში მოუხდა შეხვედრა საქართველოს წარმომადგენელთან. ლაშა და მისი ძმა დიტო ამ ასპარეზობაზე კაკაბეთიდან ყოველგვარი წინასწარი გარჯიშისა და მომზადების გარეშე მოვიდნენ. როგორც მისმა მწვრთნელმა დავით ბურჯანაძემ გვითხრა, ლაშას ამ ასპარეზობაში ბოლომდე მოუშუშებელი ფეხის ტრავმით მოუხდა გამოსვლა და ამის გამო უფრო იტკინა

ფეხი, თუმცა არ შეიძინა და ჩხუბის წარმატებით დასრულების შემდეგ ჩამოვიდა რინგიდან ცალფეხიანად, სამაგიეროდ, ჩემპიონის ქამრითა და პრიზით ხელდაამშვენებულნი. – არ ვიცოდი, მორჩენილი ჰქონდა თუ არა ფეხი, მაგრამ როცა დაეწერე, არაფერი მითხრა და პირდაპირ წამოვიდა ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად, – მითხრა მწვრთნელმა.

ლაშას „ხარებში“ ვარჯიში 7 წლის ასაკში დაუწყო და უკვე არის საქართველოს ოთხგზის და მრავალი საერთაშორისო ასპარეზობის ჩემპიონი. ამჟამად მისი ძირითადი წონა 67 კგ-ია. როგორც დავით ბურჯანაძემ „გაგვიმხილა“ – ლაშა ასევე წარმატებით ეუფლება კრივისაც და არის საქართველოს ჩემპიონი სპორტის ამ სახეობაში. ტურნირზე ჩემპიონის ქამარი და სათანადო პრიზი მოიპოვა ჩვენმა კიდევ ერთმა თანამემამულემ, წარმოშობით პატარა ჩაილურელმა გიორგი ბეჟანიშვილმა, რომელმაც შეძლო ძლიერი ყირგიზეთის მოწინააღმდეგის დამარცხება.

„წყნეთობის“ სახალხო დღესასწაულზე

10 აგვისტოს წყნეთში ჩატარდა ტრადიციული სახალხო დღესასწაული „წყნეთობა-2019“, რომელიც დაამშვენა ასპარეზობამ ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში სხვა მოჭიდავეებთან ერთად მონაწილეობდა ერთადერთი მოჭიდავე ჩვენი მუნიციპალიტეტიდან – გიორგიშვილის სახელობის სკოლის აღსაზრდელი ლუკა დარისაძისა. ლუკას ჭიდაობა 34 კგ წონით კატეგორიაში მოუწია და დაუმარცხებლად დაამთავრა ფინალამდე გამართული ყველა ორთაბრძოლა, მაგრამ ფინალი დათმო კასპელ მეტოქესთან და მეორე საპრიზო ადგილისა და შესაბამისი მედლის მფლობელი გახდა. ლუკას მწვრთნელის ბადრი ბასილაშვილის თქმით, მისი აღსაზრდელი ამ შეჯიბრებაში პირველად ჭიდაობდა 34 კგ წონით კატეგორიაში, რამაც ნაწილობრივ განაპირობა უფრო გამოსვლით მეტოქესთან მისი დამარცხება.

„წყნეთობა-2019“-ის გიორგიშვილელი ვიცე-ჩემპიონი ახლა II წლისაა. შარშან მას დანიამი ძიულში გამართული კომპანაგენის ღია პირველობა აქვს მოგებული, ასევე არის სხვადასხვა საერთაშორისო ასპარეზობის ჩემპიონი და პრიზიორი. პატარა ფალავანი ჯერჯერობით ამართლებს მთავარი მწვრთნელის იმედებს და თუ ბოლომდე ასე გააგრძელა ვარჯიში და მომზადება, მისი სახით კიდევ ერთი გამომჩინელი ფალავანი შეემატება გარეჯელ მოჭიდავეთა სახელოვან პლეადას.

თავისუფალი ჭიდაობა

გზა დავულოცოთ!

თბილისი ჩემპიონი შეგნებული ცხოვრების ნახევარზე მეტი ჭიდაობასა და გარეჯული სპორტის გვერდში დგომას უკავშირდება. სხვა წარმატებებს რომ თავი დავანებოთ, რამდენიმეჯერ გავხვდი თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, 74 კგ წონით კატეგორიაში. იმ დროს ეს ტურნირი მცირე მსოფლიო ჩემპიონატის სახელითაც იხსენებოდა და აქ მოპოვებული გამარჯვება ყველაზე მეტად ფასდებოდა. ყველაფერი ეს იმიტომ გავიხსენე, რომ ამ ბოლო ხანებში ამ წონაში საგარეჯოში გაიზარდნენ ახალგაზრდა მოჭიდავეები, რომელთაც ძალია შესწევთ საგარეჯოსა და საქართველოს სპორტული ღირსების მსოფლიო არენაზე დასაცავად. მხედველობაში მყავს ახალგაზრდებში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, დიდებში მსოფლიოს III პრიზიორი, ჩვენი თანაქალაქელი დავით ხუციშვილი და ახლახანს თბილისში გამართულ ვახტანგ ბალავაძის და გივი კარტოხიას სახელობის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი და 23 წლამდელებში ევროპის ჩემპიონი **ზურაბ მაროყონაშვილი**. ამ ახალგაზრდა ფალავნებს ნამდვილად შესწევთ უმაღლესი სპორტული ტიტულების მოპოვების ძალაც და უნარიც და ვუსურვოთ, რომ საგარეჯოელებს, ყველას ერთად, მალე გვენახოს ისინი მსოფლიო და ოლიმპიური ოქროებით მკერდდამშვენებულნი.

ტარიელ როსტომაშვილი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

ამჯერად უკვე მსოფლიოზე

თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონის, 23 წლამდელებში ევროპისა და მრავალი საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულისა და პრიზიორის, ჩვენი გარეჯელი ფალავნის **ზურაბ მაროყონაშვილის** წარმატებების შესახებ კარგად არის ცნობილი ჭიდაობის ქართული საზოგადოებისა თუ გულშემატკივრებისათვის. ჯერ კიდევ მე-5 კლასში სწავლობდა, როცა საგარეჯოს დაცვის პოლიციაში არსებულ საჭიდაო დარბაზში რამაზ ასაბაშვილისა და დათო ბაბუნისის ხელმძღვანელობით დაიწყო ვარჯიში და მას შემდეგ ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევა ჭიდაობის ოლიმპოს მწვერვალზე ასასვლელად, რის შესახებაც ჩვენი გაზეთი რეგულარულად აწვდის ინფორმაციას სპორტის ამ სახეობით დაინტერესებულ მკითხველს.



პირველ დიდ წარმატებას ჩვენმა ფალავანმა 2014 წელს 22 წლის ასაკში მიადწია, როცა მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული, სულ რაღაც ერთ წელიწადში კი გახდა პოლონეთში გამართული ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული 23 წლიანებში.

უდავოდ მისასალმებელი და მის კარიერაში მნიშვნელოვანია ამასწინათ თბილისში გამართული ვახტანგ ბალავაძის და გივი კარტოხიას სახელობის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონობა 23 წლამდელებში, რომელიც მას გახდა უხსნის მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც საგარეჯოდ 15 სექტემბერს ყაზახეთში ჩატარდება. მანამდე გარეჯელი ფალავანი საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში (პირადი მწვრთნელი ალექსი კახნიაშვილი) ორ საწვრთნელ-საგარეჯოში შეკრებას გაივლია ნაკრებიდან თავისუფალ დროს კი საგარეჯოში ივარჯიშებს. ზურას საგარეჯოელ მწვრთნელებს თავიანთი აღსაზრდელის დიდი იმედები აქვთ და ღმერთმა ინებოს ეს იმედები სრულყოფილად ასრულებოდეთ. ამ სურვილს საგარეჯოელ გულშემატკივრებთან ერთად გაზეთ „გარეჯის“ მაცნეს“ რედაქციაც უერთდება და იმედს ვიტოვებთ, ჩვენს მომავალ მასალას ზურას შესახებ უკვე როგორც მსოფლიო ჩემპიონის შესახებ მოგაწვდით.

ფეხბურთი

მოგება ზუბდიდის „ოლიშთან“

საპარტიზოლო ეროვნული ჩემპიონატის IV ლიგაში მონაწილე საგარეჯოს „გარეჯი-1960“-ის ფეხბურთელებმა 22 აგვისტოს საკუთარ მოედანზე უმასპინძლეს ამავე ლიგის ერთ-ერთ ძლიერ საფეხბურთო გუნდს ზუბდიდის „ოლიშს“.

შეხვედრის I ნახევარი სტუმართა აქტიურობით დაიწყო, რაც მალე პირველი გოლით დააგვირგვინეს. ზუბდიდელთა პირველ გოლს ბესო ჩიმაკაძის საპასუხო გოლი მოჰყვა. ამის შემდეგ თამაში უფრო გამწვავდა და გააქტიურდა, რადგან ორივე გუნდის მოთამაშეები გათამაშების ლიდერობასა და ამით უმაღლეს ლიგაში გადასვლას გეგმავენ. ორივე მხრიდან იქმნებოდა საგოლე მომენტები, რაც მეტოქეთა მიერ გატანილი კიდევ თითო გოლით აღინიშნა. 2:2 – ასე იწურებოდა შეხვედრის დრო, როცა გარეჯელთა მიერ „ოლიშის“ კარის იერიშის დროს ზუბდიდელმა ფეხბურთელებმა უხეშად დაარღვეეს თამაშის წესები და მსაჯამ მათ კარში 11 მეტრიანი დანიშნა. ეს შანსი კარგად გამოიყენა და ზუბდიდელმა გადამწვევტი გოლი გაუტანა „გარეჯის“ ახალმა ფეხბურთელმა ბექა მუმლაძემ. 3:2 – ასე დასრულდა ეს საინტერესო შეხვედრა, რის შედეგადაც „გარეჯი-1960“ კვლავ IV ლიგის გათამაშების ცხრილის სათავეშია და 3 ქულით ასწრებს მეორე და 7 ქულით III ადგილზე მყოფ გუნდებს.

მოგება, ამჯერად კურდღელაურელებთან

17 აგვისტოს, საგარეჯოს ცენტრალურ სტადიონზე, საქართველოს მოყვარულ ფეხბურთელთა ლიგის კახეთის რეგიონულ ტურნირში მონაწილე საგარეჯოს „სამი ფარის კომპანის“ ფეხბურთელებმა პირველი წრის ბოლოსწინა შეხვედრა გამართეს თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურის გუნდთან.

ცხრილის სათავეში მყოფმა „სამი ფარის კომპანის“ ფეხბურთელებმა აღმავლობით დაიწყეს თამაში მეტოქე გუნდთან, რასაც მალე რეზო თარიმანიშვილის ლამაზად დარტყმული და „ცხრიანში“ გატანილი გოლი მოჰყვა. ამის საპასუხოდ კურდღელაურელებმა ფეხბურთელებმა, რომლებიც დასრულდნენ მეტოქეობას უწევდნენ სტადიონზე საგარეჯოელებს, შექვედრეს პირველი ტაიმის დასასრულისათვის ანგარიშის გათანაბრება.

მეორე ტაიმი მეტოქეებმა თანაბარი მონდომებით დაიწყეს, იქმნებოდა საგოლე მომენტები როგორც ერთ, ისე მეორე კართან, თუმცა ამ შესაძლებლობების გამოყენება მხოლოდ „სამი ფარის კომპანის“ ბომბარდირმა თენგიზ ხაჭავანძა შეძლო, რომლის მიერ გატანილი ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა ამ ტაიმში. 2:1 – ასე დასრულდა გარეჯელ მოყვარულ ფეხბურთელთა შეხვედრა კურდღელაურელებს ფეხბურთელებთან.

მორიგი წრის დამამთავრებელი მატჩი ჩვენს ფეხბურთელებს ლავოდეხელებთან აქვთ. წარმატებები ვუსურვოთ მათ ამ შეხვედრაშიც.

გვერდი მოამზადა გივი ლაბახიშვილმა

ჭადრაკი

საჭადრაკო კლუბ „გარეჯის“

პირველი ღია ჩემპიონატი

და სტუმრად კაზარეთის სამებაში



15-18 აგვისტოს საგარეჯოში ჩატარდა საჭადრაკო კლუბ „გარეჯის“ პირველი ღია ჩემპიონატი (მიემდგვნა 6000 გარეჯელი მოწამის ხსონას), რომელიც საგარეჯოში გამართული პირველი წარმომადგენლობითი, მასშტაბური ტურნირი იყო ბოლო ორი ათეული წლის შემდეგ.

დღეს, როცა მთელს მსოფლიოში ჭადრაკის პოპულარობა იზრდება, როცა საქართველოს თითქმის ყველა რაიონში ძლიერდება არსებული და ყალიბდება ახალი საჭადრაკო წრეები თუ კლუბები, ცდილობენ ჩაატარონ მასშტაბური ტურნირები, ჩვენს რაიონში, რომელიც დიდი საჭადრაკო ტრადიციების მატარებელია, ჭადრაკი რამდენიმე ენთუზიასტი მწვრთნელის და ნამდვილად ნიჭიერი მოჭადრაკეების წყალობით იყო ქვეყნის და მსოფლიო მასშტაბითაც წარმოდგენილი. ეს იმის მიუხედავად, რომ 90-იანი წლებიდან, როცა ხანძარმა გაანადგურა საგარეჯოში არსებული მშვენიერი ჭადრაკის სახლი, არათურესპუბლიკური, ადგილობრივი მნიშვნელობის ტურნირიც კი არ ჩატარებულა.

ამ რამდენიმე წლის წინ მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა, მოჭადრაკეებს გადმოეცათ საკმაოდ მოზრდილი ოთახი, სადაც შესაძლებელია მცირე მასშტაბის ტურნირების ჩატარება. ჭადრაკის ფედერაციამ საჭადრაკო კლუბ გარეჯის აჩუქა მაგიდები და სკამები, ხოლო დარბაზის ოფიციალური გახსნისას გადმოსცემს ჭადრაკებსა და საჭადრაკო საათებსაც (იმედია დარბაზის კეთილმოწყობა მალე დასრულდება).

მოჭადრაკეთა ამ ახალ ბინაში უკვე ჩატარდა რამდენიმე რაიონული მასშტაბის

ტურნირი უმცროსი ასაკის მოსწავლეთა შორის, რის შესახებაც ჩვენი გაზეთის მკითხველმა უკვე იცის. და აი, დადგა უფროსი ასაკის მოჭადრაკეთა „საქმეში ჩართვის“ დროც. თუმცა ეს არც ისე იოლი საქმე იყო, – გაჭირდა ძველი და საშუალო თაობის ყველა მოჭადრაკესთან დაკავშირება და მათი დათანხმება ტურნირში მონაწილეობაზე. ამიტომ მართლაც დასაფასებელია თენგიზ კობიაშვილის,

შოთაშვილის, ნიკა კველიშვილის, აბდულა მაშელაძის, რეზო ჯაჭვადის, ალექსი არაბულის, შოთა ქურსულის გადაწყვეტილება, რომელთა მონაწილეობამ სულ სხვა მასშტაბები მისცა ჩემპიონატს. მათთან თამაშით უდიდესი გამოცდილება მიიღეს ჩვენმა უკვე ცნობილმა თუ პერსპექტიულმა მოჭადრაკეებმა.

განსაკუთრებულად გვინდა აღვნიშნოთ რაიონის საჭადრაკო ცხოვრე-

ვალის ხელოვნების ნიმუშად, საჩუქრად გადასცა საგარეჯოელ მოჭადრაკეებს და ტურნირის ბოლო დღეს საკუთარი მობრძანებით უდიდესი პატივი დასდო ჭადრაკის გარეჯელ მოთამაშეებსა და ტურნირის ორგანიზატორებს. მეუფე ლუკამ სამახსოვრო საჩუქრებიც (წიგნები) გადასცა ტურნირის ყველაზე პატარა (ნიკოლოზ ოხგელაშვილი, ნინო აგულაშვილი, შოთაშვილი) და უხუცეს (თენგიზ კობიაშვილი, ტელმან შოთაშვილი) მონაწილეებს და მოჭადრაკეები საკუთარ რეზიდენციაში – კაწარეთის სამებაში მიიწვია.

რაც შეეხება ჩემპიონატს – ის მართლაც



დაბაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობდა. მთავარი პრიზის – თასის და ოქროს მედლის მფლობელი გახდა ნიკა კველიშვილი, რომელმაც 8.5 ქულით 9 შესაძლებლობიდან (ყაიმით დაამთავრა შეხვედრა თენგიზ კობიაშვილთან) დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი. მეორე ადგილზე გავიდა აბდულა მაშელაძე – 8 ქულით (დამარცხდა ნიკა კველიშვილთან), მესამეზე – რეზო ჯაჭვადი (6.5 ქულა).

ცალკე გათამაშდა მედლები მოსწავლე გოგონებსა და ჭაბუკებს, ასევე ვეტერან მოჭადრაკეებს შორის. ვეტერანებს

მილოცვა

დაბადების დღეს გულწრფელად შუბს „საგარეჯოს“ დირექტორს თამაზ კუჭუაშვილს. გუსურვებით სიკეთეს, სიხარულს, წარმატებებს სამსახურებრივ საქმიანობაში და პირად ცხოვრებაში.



შპს „საბარძო-ჯონ“ თანამშრომლები

საბარძო-ჯონ „ჯეო-პოსტიტალის“ დირექტორს, მთავარ ექიმს, მისი სამსახურის ხელმძღვანელებს, ექიმებს და ყველა თანამშრომელს გულწრფელად „მარიაშვილს“ ბრწყინვალე დღესასწაულს და „ჯეო-პოსტიტალის“ ფუნქციონირებიდან 8 წლისთავის შესურვლებას. გუსურვებთ სიკეთეს და სიხარულს, ჩვენი რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის სადარაჯოზე მხნედ ყოფნას.

შუშუნა ლოლაშვილი, ლია და შოთა მარუბიძეების დედა და სიდედრი

შორის პირველი ადგილი დაიკავა თენგიზ კობიაშვილმა, მეორე ადგილზე გავიდა ტელმან შოთაშვილი (81 წლის), მესამეზე – ალექსი არაბული.

მოსწავლე გოგონათა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო პირველი ადგილი დაიკავა 11 წლის ნინო ესაიაშვილმა (5 ქულა), მეორე ადგილზე ასევე 5 ქულით გავიდა ნინო აგულაშვილი (7 წლის), მესამეზე – 8 წლის მარიამ აგულაშვილი (4 ქულა), რომელსაც უძლიერეს მოჭადრაკეებთან შეხვედრა მოუწია, დაამარცხა ტელმან შოთაშვილი, ალექსი არაბული, თანაბრად ებრძოლა პარტიის ბოლომდე ზუკა გამრეკელაშვილს (11 წლის), თუმცა ზუკას გამოცდილებამ თავისი გაიტანა და აბსოლუტურად საყაიმო პოზიციაში შექლო მარიამის დამარცხება.

ამ მოგებით ზუკამ გაიმარჯვა მოსწავლე ჭაბუკთა შორის და 5 ქულით დაიკავა I ადგილი. II ადგილი ასევე 5 ქულით დაიკავა შოთაშვილი, მესამე – 4.5 ქულით – ფართლი საბრი.

გამარჯვებულებს მედლები და დიპლომები გადასცეს ნინოწმინდა-საგარეჯოს მთავარეპისკოპოსმა, მუშუბი ლუკამ და საჭადრაკო კლუბ გარეჯის თავმჯდომარე ირაკლი ძვლინიძემ.

როგორც ხემათ აღვნიშნეთ, მეუფე ლუკამ მოჭადრაკეები და ტურნირის ორგანიზატორები კაწარეთის სამებაში მიიწვია, თანაც დაპირდა – იქ მეც ვითამაშებ თქვენთან ერთად. პოდა შაბათს, 24 აგვისტოს, მოჭადრაკეები კაწარეთის სამებას ესტუმრნენ, სადაც მათ მეუფე თავად მასპინძლობდა, გაიმართა ამხანაგური შეხვედრები, რომელშიც მეუფე ლუკამაც მიიღო მონაწილეობა, მოჭადრაკეებს და კვლავაც თანადგო-

მას და გულშემბტკიერობას დაჰპირდა. დამშვიდობებისას მეუფემ დალოცა პატარა მოჭადრაკეები და მომავალში დიდი წარმატებები უსურვა მათ.



რედაქტორი: თინათინ ილაური



„გარეჯის მაცნე“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“ გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300 რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15, გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“. ტელეფონები: 599 502 842 599 851 143 ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com